



მსახიბლის სპრადიტო შნატანის დაზღვევის პირობები

მუხლი 1. განმარტებები

- 1.1. მზღვეველი – სს “სადაზღვევო კომპანია ალდაგი“;
- 1.2. დამზღვევი/მოსარგებლე – სს “საქართველოს ბანკი“;
- 1.3. დაზღვეული – მსესხებელი ფიზიკური პირი;
- 1.4. სესხის ხელშეკრულება – დამზღვევსა და დაზღვეულს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც დამზღვევის მიერ დაზღვეულის სასარგებლოდ გაიცემა სესხი და რომელზეც მიბმულია წინამდებარე დაზღვევა;
- 1.5. მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი – სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის დამზღვევსა და დაზღვეულს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ტრანშის დაზღვეულის შესაბამისი წილის ექვსმაგი ოდენობა.
- 1.6. სესხის ტრანში (ყოველთვიური სპრადიტო შნატანი) – დამზღვევსა და დაზღვეულს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე დაზღვეულის მიერ დამზღვევის სასარგებლოდ ყოველთვიურად გადასახდელი ფიქსირებული თანხის ის ოდენობა, რომელიც დამზღვევის მიერ მიეთითება შესაბამის ბორდეროში თითოეულ დაზღვეულთან მიმართებაში .
- 1.7. სესხის ტრანშის შესაბამისი წილი - სესხის ტრანშის თანხობრივად გამონგარიშებული წილი, რომელიც შეესაბამება სესხის ტრანშის შეფარდებას შესაბამის სესხთან მიმართებაში არსებული (თანა)მსესხებლების რაოდენობასთან, თუ სესხის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესაბამისი (თანა)მსესხებლის თანამონაწილეობის წილი. თუ ასეთი თანამონაწილეობა განსაზღვრულია, სესხის ტრანშის შესაბამისი წილი (თანა)მსესხებლის თანამონაწილეობის წილის ტოლია. დამზღვევი ყოველ დაზღვეულთან მიმართებაში სესხის ტრანშის შესაბამისი წილს მიუთითებს შესაბამის ბორდეროში. ამასთან, კონკრეტულ სესხთან მიმართებაში, (თანა)მსესხებლების რაოდენობის შემცირებისას, თუ სხვა (თანა)მსესხებელს/ (თანა)მსესხებლებს დაუდგებათ სადაზღვევო შემთხვევა ასეთი შემცირებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ასეთი (თანა)მსესხებლისათვის/ (თანა)მსესხებელთათვის სესხის ტრანშის შესაბამისი წილი უცვლელი რჩება და გამონგარიშდება (თანა)მსესხებელთა რაოდენობის შემცირებამდე არსებული პროპორციით.
- 1.8. სადაზღვევო შემთხვევა – დაზღვეულის უმუშევრობა, გამოწვეული წინამდებარე პირობების მეორე მუხლში მითითებული მიზეზებით ან უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეული მუდმივი სრული შრომისუნარობა, რომლის დადგომისას მზღვეველი უზრუნველყოფს მოსარგებლისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას წინამდებარე პირობებითა და ოდენობით.
- 1.9 უბედური შემთხვევა – შემთხვევითი, უეცარი და მოულოდნელი გარეგანი ძალის ზემოქმედება, რომელიც დაზღვეულს აყენებს ფიზიკურ ზიანს და შედეგად გამოიღებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს;
- 1.10. უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარიანობის მუდმივი სრული დაკარგვა – მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენა კომპეტენტური ორგანოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 1.11. კონტრაქტორი – წინასწარ განსაზღვრული ვადით (სამუშაოს შესრულების ვადით, სეზონური სამუშაოს შესასრულებლად, შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლების მიზნებისათვის, სამუშაოს მოცულობის დროებით გაზრდის გამო) ან/და კონკრეტული დავალების/სამუშაოს შესასრულებლად დაქირავებული ფიზიკური პირი;
- 1.12. სადაზღვევო ანაზღაურება – მზღვეველის მიერ მოსარგებლის სასარგებლოდ წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით და ოდენობით გადასახდელი ფულადი თანხა, რომელიც მიემართება დაზღვეულის სასესხო ვალდებულების შესამცირებლად.
- 1.13. ანაზღაურების მაქსიმალური პერიოდი – 6 თვე.
- 1.14. მედიანური თვიური შემოსავალი – დამსაქმებლისაგან ბოლო სამი თვის განმავლობაში დაზღვეულის მიერ მიღებული თვიური შრომის ანაზღაურებების მედიანა (სამი ყოველთვიური შემოსავლიდან სიდიდით მეორე). ამ მიზნებისთვის შრომის ანაზღაურება მოიცავს ხელფასს, საკომისიოს, ბონუსს და სხვა ფულადი სახის ანაზღაურებას და გამოკლებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები.
- 1.15. ბორდერო - დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ყოველთვიურად წარდგენილი ანგარიშება სადაც მიეთითება დაზღვეულის შესახებ მონაცემები, მათ შორის სესხის ტრანშის შესაბამისი წილი.
- 1.16. მოცდის პერიოდი - შესაბამის დაზღვეულთან მიმართებაში დაზღვევის ძალაში შესვლიდან 30 კალენდარული დღე, რომლის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას.

მუხლი 2. სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო შემთხვევა და გამონაკლისები

- 2.1. სადაზღვევო რისკს წარმოადგენს დაზღვეულის შემოსავლების დაკარგვა, რომელიც განპირობებულია:
 - ა) დაზღვეულის მიერ სამუშაოს იძულებითი (ანუ არა მისი სურვილით/ნებით განპირობებული) დაკარგვით, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ 2.2. პუნქტში მითითებული საფუძველებით; ან
 - ბ) უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის შრომისუნარიანობის მუდმივი სრული დაკარგვით.
- 2.2. ამ დაზღვევის მიზნებისათვის სადაზღვევო შემთხვევად ითვლება უმუშევრობა (ანუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა) რომელიც 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი ხნით გრძელდება და რომლის საფუძველია:
 - ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომელიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის



შემცირებას;

ბ) დაზღვეულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;

გ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

დ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის გარდაცვალება;

ე) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;

ვ) მუდმივი სრული შრომისუნარობა, რომელიც გამოწვეულია უბედური შემთხვევით.

2.3. წინამდებარე პირობების ფარგლებში უმუშევრობის რისკისათვის (2.2. პუნქტი) გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენს და შესაბამისად, **სადაზღვევო შემთხვევად** არ ჩაითვლება:

ა) შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა;

ბ) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა **დაზღვეულის** მიზეზით ან ინიციატივით ან **დაზღვეულის** მიერ შრომითი ხელშეკრულებით ან შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ან სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით;

გ) თუ **დაზღვეული** მუშაობდა არასრული სამუშაო დღით ან/და დასაქმებული იყო როგორც **კონტრაქტორი**.

დ) თუ **დაზღვევის** მომენტში **დაზღვეული** ფლობდა ინფორმაციას მოსალოდნელი უმუშევრობის შესახებ;

ე) თუ **დაზღვეული** დასაქმებული იყო გამოსაცდელი ვადით, მაგრამ ძირითადი შრომითი ხელშეკრულება აღარ გაუფორმდა;

ვ) თუ **დაზღვეული** შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებდა პროლონგაციის შესაძლებლობას, მაგრამ იგი არ იქნა პროლონგირებული;

ზ) თუ შემთხვევა დადგა მოცდის პერიოდის განმავლობაში.

2.4. **მზღვეულის** მიერ ასევე არ ანაზღაურდება უმუშევრობის ისეთი შემთხვევები, როდესაც უმუშევრობის დადგომის მომენტში:

ა) **დაზღვეული** არ არის საქართველოს რეზიდენტი;

ბ) **დაზღვეული** არის 22 წლამდე ასაკის ან 60 წელს გადაცილებული ქალბატონი ან 65 წელს გადაცილებული მამაკაცი;

გ) **დაზღვეულს** არ გაგაჩნია სამთვიანი უწყვეტი სამუშაო სტაჟი (გამოსაცდელი ვადის გამოკლებით);

დ) თუ:

დ.ა) **დაზღვეულის** შრომითი ხელშეკრულება ზეპირი ფორმით იყო გაფორმებული

დ.ბ) **დაზღვეულის** შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არ იყო იურიდიულ პირთან (იურიდიულ პირში არ იგულისხმება ინდივიდუალური მეწარმე, გარდა 2.2.დ საფუძვლისა) ან **დაზღვეულის** დამსაქმებელს გააჩნდა ნ თვზე ნაკლები ვადით სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობის გამოცდილება; ამასთან, თუ დამსაქმებელი იურიდიული პირი წარმოშობილია რეორგანიზაციის შედეგად სამეწარმეო/არასამეწარმეო გამოცდილების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება რეორგანიზაციამდე არსებული გამოცდილებაც.

დ.გ) **დაზღვეულის** შემოსავლების დაკარგვა/შემცირება შედეგია/უკავშირდება დაზღვეულის ნებისმიერი სახის შვებულებას (დროებითი შრომისუნარობის, შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო და ა.შ.).

დ.დ.) დამსაქმებლის მიერ **დაზღვეულთან** შრომითი ურთერთობის შეწყვეტის შემდეგ გამოყენებულია კონკურენციის შეზღუდვის პირობა და **დაზღვეული** იღებს კომპენსაციას.

დ.ე.) თუ **დაზღვეული** დასაქმებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელ პოზიციაზე (დირექტორი ან/და სხვა რეგისტრირებული პირი) და იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებით ან/და დამსაქმებელი ორგანიზაციის დამფუძნებელს ან თანადამფუძნებელს წარმოადგენს **დაზღვეული** ან **დაზღვეულის** ოჯახის წევრი (მეუღლე, შვილი, და, ძმა, მშობელი, მშობლის მეუღლე, ბებია ან ბაბუა).

2.5. **სადაზღვევო შემთხვევად** არ ჩაითვლება და არ ანაზღაურდება **მუდმივი სრული შრომისუნარობა**, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ქვემოთ მოცემულ მოვლენებს:

ა) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ისეთ მოვლენებს, როგორცაა ომი, დაპყრობა, ნებისმიერი სახის საომარი/სამხედრო მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა, ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მიერ განხორციელებული კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია, ნებისმიერი პირის ქმედებები, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლების დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;

ბ) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ბირთვულ ენერჯიას (ბირთვული რეაქციები, დასხივება, დაბინძურება);

გ) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტივობით გამოწვეულ დაბინძურებას ნებისმიერი ბირთვული საწვავის ან მისი აალების შედეგად;

დ) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** მონაწილეობას სამხედრო (საზღვაო,საჰაერო) ან პოლიციური ძალების სამსახურში ან ასეთის მოქმედებებში;

ე) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** მონაწილეობას ნებისმიერი სახის სიჩქარეზე შეჯიბრში;

ვ) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** ყოფნას ნებისმიერ საფრენ საშუალებაში/ხომალდში, მასში შესვლას ან მისგან გამოსვლას, გარდა ლიცენზირებული მრავალძრავიანი საჰაერო



ტრანსპორტით მგზავრობისა, რომელსაც ექსპლუატაციას უწევს ლიცენზირებული საჰაერო გადაზიდვა;

ზ) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** ფსიქიკურ ავადმყოფობას ან გონების დაბინდვას;

თ) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ ინტოქსიკაციას, ან თუ შემთხვევა მოხდა დაზღვეულის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს;

ი) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** ინფექციურ დაავადებას;

კ) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** საკვებისმიერ ინტოქსიკაციას;

ლ) თუ მუდმივი სრული შრომისუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ან ამგვარის მცდელობას.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვეული** დასაქმებულია ერთზე მეტ დამსაქმებელთან და **სადაზღვევო შემთხვევა** დგება ერთ-ერთ დამსაქმებელთან მიმართებაში, **მზღვეველის** მიერ მიმდინარე სესხის **ტრანშის შესაბამისი წილის** დასაფარად **სადაზღვევო ანაზღაურება ამ პირობებით დადგენილი წესით** გაიცემა იმ პროპორციით რა პროპორციითაც **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად დაკარგული შემოსავალი შეესაბამება **დაზღვეულის ჯამურ** შემოსავალს ყველა დამსაქმებლისაგან (დაკარგულის ჩათვლით).

2.7. სადაზღვევო შემთხვევისას მზღვეველის მიერ ყოველთვიურად გასაცემი **სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება** მიმდინარე სესხის **ტრანშის შესაბამისი წილის** ოდენობით მაგრამ არაუმეტეს **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად **დაზღვეულის** მიერ დაკარგული მედიანური **თვიური შემოსავლისა**.

2.8. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ **დაზღვეულთან** მიმართებაში **მზღვეველთან** დაზღვეულია ამ პირობებით გათვალისწინებული რისკები (შემოსავლების დაკარგვა) სხვა დაზღვევის ხელშეკრულებითაც, **მზღვეველის** მიერ გადასახდელი **სადაზღვევო ანაზღაურება** ყველა დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამის დაზღვეულთან მიმართებაში არ გადააჭარბებს ამ ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ მედიანურ **თვიურ შემოსავლის ოდენობას**, ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისას პირველ რიგში გადახდელი იქნება წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ანაზღაურება. იმ შემთხვევაში თუ ამ პირობებით გათვალისწინებული რისკები ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული (ორმაგი დაზღვევა), **დაზღვეული, სადაზღვევო შემთხვევისას**, ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე მოახდინოს **მზღვეველის** ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო ლიმიტების ოდენობა. ორმაგი დაზღვევის დროს **სადაზღვევო შემთხვევისას მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება: თუ ყველა მზღვეველის პასუხისმგებლობის (ყოველთვიური ლიმიტის) ჯამი ტოლია ან ნაკლებია დაზღვეულის მიერ დაკარგული მედიანური **თვიური შემოსავლისა, მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო ანაზღაურება** გაიცემა წინამდებარე პირობების 2.7. პუნქტით დადგენილი წესით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ყველა მზღვეველის პასუხისმგებლობის (ყოველთვიური ლიმიტის) ჯამი მეტია დაზღვეულის მიერ დაკარგული მედიანური თვიური შემოსავლისა მზღვეველი ყოველთვიურად, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში, გადაიხდის სადაზღვევო ანაზღაურებას, რომელიც ტოლია დაკარგული მედიანური **თვიური შემოსავლისა** და სხვა მზღვეველ(ებ)ის მიერ გასაცემი (გაცემული) სადაზღვევო ანაზღაურების სხვაობისა. თუ **დამზღვევის** მიერ დარღვეულია ორმაგი დაზღვევის შესახებ **მზღვეველის** ინფორმირების ვალდებულება, **მზღვეველი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდაზე.

2.9. **მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო ანაზღაურება** ან მისი მორიგი **ტრანში** არ გაიცემა, თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მომენტისათვის შეწყვეტილია **დამზღვევისა და დაზღვეულს** შორის არსებული **სესხის ხელშეკრულება**, მიუხედავად შეწყვეტის მიზეზისა.

მუხლი 3. დაზღვევის მოქმედების ვადა, დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა.

3.1. დაზღვევა ძალაში შედის ღია პოლისში მითითებული საწყისი თარიღის 24:00 საათზე, კონკრეტულ **დაზღვეულთან** მიმართებაში დაზღვევა ძალაში შედის **დამზღვევის** მიერ მისი **ბორდეროში** მითითების საფუძველზე და წყდება:

ა) **დამზღვევის** და **დაზღვეულს** შორის გაფორმებული **სესხის ხელშეკრულების** შეწყვეტის საფუძველზე (მიუხედავად შეწყვეტის მიზეზისა);

ბ) **დამზღვევისა** და **მზღვეველს** შორის გაფორმებული ღია პოლისის მოქმედების ვადის ამოწურვით;

გ) **მზღვეველის** მიერ პირველი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით.

დ) **დაზღვეულის** გარდაცვალებით;

ე) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საფუძველზე.

იმის მიხედვით ზემოთ მითითებული მოვლენებიდან რომელიც უფრო ადრე დადგება.

3.2. **დაზღვევის** ძალაში ყოფნის პერიოდში, **დამზღვევი** ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი **სადაზღვევო პრემია** თითოეულ დაზღვეულთან მიმართებაში.



3.3. წინამდებარე პირობების 3.1. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიუხედავად დაზღვევის შეწყვეტისა **მზღვეველი** ვალდებულია გასცეს **სადაზღვევო ანაზღაურება** ამ პირობებით დადგენილი წესით, თუ არ არსებობს წინამდებარე პირობებით **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 4. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისათვის აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა და მისი გადახდის წესი

4.1. **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას, დაზღვეული ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის შესახებ **დამზღვევს** და **მზღვეველს** შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, ხოლო უბედური შემთხვევის ხდომილებისას შეტყობინება უნდა განხორცილდეს არაუგვიანეს 48 საათისა.

4.2. **დაზღვეული** ვალდებულია შემთხვევის ხდომილებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა წარუდგინოს **მზღვეველს** შემდეგი დოკუმენტები:

- ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ბ) **სესხის ხელშეკრულების** ასლი ;
- გ) უმუშევრობის რისკის ხდომილების შემთხვევაში:
გ.ა.) შრომითი ხელშეკრულების ასლი;
- გ.ბ) დოკუმენტი ყოფილი დამსაქმებლისგან, სადაც მოცემული იქნება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი/საფუძველი და შესაბამისი დოკუმენტაცია;
- გ.გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების ან გადაწყვეტილების ასლი, რომელიც წარმოადგენს უმუშევრობის საფუძველს (ასეთი არსებობის შემთხვევაში)
- გ.დ) ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან **დაზღვეულის** საბანკო ანგარიშზე უკანასკნელი 3 (სამი) თვის განმავლობაში ხელფასის ჩარიცხვის შესახებ;
- გ.ე) ცნობა დამსაქმებლის მიერ კონკურენციის შეზღუდვის პირობის გამოყენების შესახებ;
- გ.ვ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან **დაზღვეულის** სახელზე დამსაქმებლის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ;
- გ.ზ) ცნობა **დამზღვევისგან სესხის ხელშეკრულების** ძალაში ყოფნისა და **სესხის ტრანშის შესაბამისი წილის** ოდენობის შესახებ;
- გ.თ) ცნობა დამზღვევისგან თანამსესხებელთა რაოდენობის, ასევე რაოდენობის შემცირების შესახებ ასეთი შემცირების თარიღის მითითებით (არსებობის შემთხვევაში).
- გ.ი) სხვა სახის დოკუმენტები/მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომას და/ან რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგენის მიზნით მოითხოვს **მზღვეველი**.

დ) **შრომისუნარიანობის მუდმივი სრული დაკარგვის** შემთხვევაში:
დ.ა) **უბედური შემთხვევის** დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი აქტი **უბედური შემთხვევის** გარემოებებისა და შედეგების ამსახველი დეტალების მითითებით, ასევე, მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი მზღვეველის მიერ ასეთის მოთხოვნისას;

დ.ბ.) **მუდმივი სრული შრომისუნარიანობის** დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, კანონით დადგენილი წესით გაცემული კომპეტენტური ორგანოს დასკვნა/ები, რომლითაც დადგენილი იქნება დაზღვეულის შესაძლებლობის მკვეთრი ან მნიშვნელოვანი შეზღუდვის ფაქტი და შესაბამისი სტატუსის მინიჭება.

4.3. **მზღვეველი** უფლებამოსილია, საჭიროებიდან გამომდინარე, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა და/ან დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება.

4.4. **მზღვეველი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **დაზღვეულს** მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება, ამგვარის საჭიროების შემთხვევაში, რაც გულისხმობს (მაგრამ არ შემოიფარგლება) მზღვეველის (ან მზღვეველის მიერ განსაზღვრული პირისათვის) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილების მინიჭებას გამოითხოვოს ადმინისტრაციული (მათ შორის საგადასახადო ორგანოებიდან) საბანკო და სადაზღვევო დაწესებულებებიდან დაზღვეულის შემოსავლების ან/და გადახდილი გადასახადების ან/და არსებული **დაზღვევების** შესახებ; ამასთან, დაზღვეულის მიერ ამ პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობა **მზღვეველის** მხრიდან განსაზღვრულ ვადაში, წარმოადგენს **სადაზღვევო ანაზღაურების** (ან მისი მორიგი ტრანშის) გადახდაზე უარის თქმის უპირობო საფუძველს.

4.5. შემთხვევის დამადასტურებელი ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემთხვევა არ ექვემდებარება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებას.

4.6. **დაზღვეულის** მიერ **სადაზღვევო შემთხვევის** დასადასტურებლად და **სადაზღვევო ანაზღაურების** მოცულობის დასადგენად ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომელსაც ხელს აწერს **დამზღვევი** და **მზღვეველი**. სადაზღვევო აქტის ხელმოწერის შემდეგ სადაზღვევო ანაზღაურება, **ანაზღაურების მაქსიმალური პერიოდის** განმავლობაში ყოველთვიურად **სესხის ტრანშის შესაბამისი წილის** ოდენობით, ამ პირობებით დადგენილი წესით, გაიცემა **მოსარგებლის** სასარგებლოდ.

4.7. სადაზღვევო აქტის შედგენისა და **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის აუცილებელი პირობაა სადაზღვევო აქტის შედგენის თარიღისათვის **სესხის ხელშეკრულების** ძალაში ყოფნა და **მოსარგებლის** წინაშე **დაზღვეულის** მიმდინარე სასესხო ვალდებულების არსებობა.

4.8. **მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო ანაზღაურებაზე** მოტივირებული უარის თქმის შემთხვევაში, **დამზღვევის** წინაშე ნაკისრი



შესაბამისი ვალდებულებების შესრულება დაზღვეულის ვალდებულებად რჩება.

4.9. **სადაზღვევო ანაზღაურება** გაიცემა სადაზღვევო აქტის ხელმოწერის შემდეგ შესაბამისი სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველივე გადასახდელი სესხის ტრანშისათვის.

4.10. თუ **დაზღვეული**, **მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდის პერიოდში დასაქმდა, **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდა ავტომატურად შეწყდება **დაზღვეულის** დასაქმების მომდევნო თვიდან, მიუხედავად დასაქმების ხელშეკრულების ტიპისა (დროებითი, გამოსაცდელი ვადით, გარკვეული სამუშაოს შესრულების მიზნით, ვადიანი, უვადო თუ სხვა) თუ – ფორმისა (ზეპირი, წერილობითი).

4.11. მხარეთა მიერ ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში, თუ გადასახდელი თანხა დადგენილია ეროვნული ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში ანგარიშსწორება იწარმოებს გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მუხლი 5. რეგრესის წესი

5.1. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ **მზღვეველის** მიერ გაიცემა **სადაზღვევო ანაზღაურება** და ამ დროისათვის **დაზღვეული** არის დასაქმებული ამ პირობების შესაბამისად, **დაზღვეული** ვალდებულია, სრულად დაუბრუნოს **მზღვეველს მოსარგებლისათვის** დაზღვეულის სასესხო ვალდებულების შესამცირებლად გადახდილი **სადაზღვევო ანაზღაურება**.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვეული** კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივრებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, მოითხოვს განაცდურის ანაზღაურებას და შესაბამისი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით **დაზღვეულის** მოთხოვნა დაკმაყოფილდა, **დაზღვეული** ვალდებულია სრულად დაუბრუნოს **მზღვეველს მოსარგებლისათვის დაზღვეულის** სასესხო ვალდებულების შესამცირებლად გადახდილი **სადაზღვევო ანაზღაურება**.

მუხლი 6. დავა და მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სადაზღვევო შემთხვევისას დარეკეთ : (+995 32) 2444999